სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

2015 წელი, 16 აპრილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 15 დეკემბრის №12 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2015 წლის სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის №2174 განკარგულების საფუძველზე.

1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია 2015 წლის განმავლობაში წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართით განსაზღვრული ტექნიკური მაჩვენებლების მქონე სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) საშუალებით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების, თავდაცვის ატაშეს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევებისა.

1.3 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციები არიან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) „შემსყიდველად“ რეგისტრირებული მომხმარებლები.

მუხლი 2. შესყიდვის ობიექტი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი (შემდგომში - სტანდარტული ლეპტოპი). შესასყიდი საქონლის საორიენტაციო რაოდენობა არის 6000 ერთეული სტანდარტული ლეპტოპი.

მუხლი 3. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები, გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა

3.1 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ მომხმარებლებს.

3.2 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობისათვის „მიმწოდებელმა“ უნდა გადაიხადოს კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური - 2000 (ორი ათასი) ლარი. იმ შემთხვევაში, თუ კონსოლიდირებული ტენდერი შეწყდება ან დასრულდება უარყოფითი შედეგით, ხელმეორედ გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში შეწყვეტილ ან უარყოფითი შედეგით დასრულებულ კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტისთვის სატენდერო წინადადების განმეორებით წარდგენის საფასური განისაზღვრება 200 (ორასი) ლარის ოდენობით. საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი: 707797131

3.3 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის (შემდგომში - პრეტენდენტი) სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) საფასურის გადამხდელი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) გადახდის დანიშნულება - კონსოლიდირებული ტენდერი.

3.4 ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ პრეტენდენტს, რომელსაც გააჩნია სტანდარტული ლეპტოპის მიწოდების არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება, რომლის დამამტკიცებელი შესაბამისი დოკუმენტი უნდა დაერთოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას.

3.5 პრეტენდენტი უნდა იყოს შემოთავაზებული სტანდარტული ლეპტოპის მწარმოებლის ოფიციალური დილერი, რომლის დამამტკიცებელი შესაბამისი დოკუმენტი უნდა დაერთოს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებას.

3.6 პრეტენდეტის მიერ შემოთავაზებული სტანდარტული ლეპტოპი უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართით (სტანდარტული ლეპტოპის ტექნიკური მახასიათებლები) - შემდგომში დანართი, დადგენილ მოთხოვნებს.

3.7 პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს შემოთავაზებული სტანდარტული ლეპტოპის მწარმოებლის მიერ სერტიფიცირებული მხარდაჭერის/შეკეთების არანაკლებ ხუთი პუნქტი და ტექნიკური პერსონალი.

3.8 პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს სტანდარტული ლეპტოპის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტების შესახებ ინფორმაცია (მისამართისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით). აღნიშნული პუნქტები უნდა მდებარეობდეს: ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში, ქ. გორსა და ქ. თელავში.

3.9 პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად სისტემაში უნდა ატვირთოს ცნობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების შესახებ და ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან. აღნიშნული დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს არაუადრეს 2015 წლის 1-ლი აპრილისა.

3.10 პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად სისტემაში უნდა ატვირთოს მის მიერ შემოთავაზებული სტანდარტული ლეპტოპის ტექნიკური მაჩვენებლები წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართით განსაზღვრული ტექნიკური მაჩვენებლების შესაბამისად. ამასთან, პრეტენდენტმა თავის სატენდერო წინადადებაში დეტალურად უნდა მიუთითოს შემოთავაზებული სტანდარტული ლეპტოპის დასახელება, მარკა, ტექნიკური მახასიათებლები, ასევე ფოტო და სხვა მონაცემები, რაც უნდა ქმნიდეს შემოთავაზებული სტანდარტული ლეპტოპის ზუსტი იდენტიფიცირების შესაძლებლობას. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული სტანდარტული ლეპტოპის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს დანართით დადგენილ მოთხოვნებს.

3.11 კონსოლიდირებული ტენდერის შერჩევა/შეფასების ეტაპზე, სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის (შემდგომში - სატენდერო კომისია) მოთხოვნის შემთხვევაში და სატენდერო კომისიის მიერ მითითებულ ვადაში, პრეტენდენტმა სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინოს:

ა) მისაწოდებელი სტანდარტული ლეპტოპის ნიმუში;

ბ) სტანდარტული ლეპტოპის ან მისი რომელიმე ნაწილის დანართით დადგენილ ტექნიკურ მახასიათებლებთან შესაბამისობის დამადასტურებელი მწარმოებლის მიერ გამოგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენციის ორიგინალი.

3.12 კონსოლიდირებულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ან/და სხვა დოკუმენტაციის სატენდერო განცხადებასთან ან/და სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, პრეტენდენტი დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

3.13 იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო კომისია მიიჩნევს, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით მიზანშეწონილი

არ არის აღნიშნულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, უარი თქვას აღნიშნულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებაზე.

3.14 კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადაიხადოს კონსოლიდირებულად შესასყიდი სტანდარტული ლეპტოპების ჯამური საორიენტაციო ღირებულების (დაანგარიშებული ერთი ერთეული სტანდარტული ლეპტოპის საწყისი სავაჭრო ფასის საფუძველზე) 5%-ის ოდენობის თანხა იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს სტანდარტული ლეპტოპის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასთან. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.15 სატენდერო წინადადებების წარდგენა იწყება 2015 წლის 17 აპრილს და მთავრდება 2015 წლის 21 აპრილს. სატენდერო კომისია სატენდერო წინადადებებს განიხილავს გონივრულ ვადაში და შედეგები გამოქვეყნდება სისტემის მეშვეობით.

3.16 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.17 კონსოლიდირებული ტენდერი ჩატარდება სისტემის მეშვეობით და ელექტრონული ვაჭრობა გაიმართება 1 ერთეული სტანდარტული ლეპტოპის ფასზე.

3.18 კონსოლიდირებულ ტენდერში 1 ერთეული სტანდარტული ლეპტოპის საწყისი სავაჭრო ფასია 800 (რვაასი) ლარი. მინიმალური ბიჯის ოდენობა შეადგენს 5 (ხუთი) ლარს.

3.19 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს და ამასთან, დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ თანაბარი უმცირესი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ფასი.

3.20 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სტანდარტული ლეპტოპების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5

სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.21 სატენდერო კომისია, ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით, უფლებამოსილია, 2015 წლის განმავლობაში ორჯერ გადახედოს მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული სტანდარტული ლეპტოპის ერთი ერთეულის ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, შესთავაზოს მიმწოდებელს ერთეულის ფასის ცვლილება. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ დაეთანხმება სატენდერო კომისიის მიერ შემოთავაზებულ ახალ გონივრულ ფასს, აღნიშნული გამოიწვევს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტას მიმწოდებლის მიმართ რაიმე სანქციის გამოყენების გარეშე.

მუხლი 4. შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობები, მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

4.1 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ხელშეკრულება სტანდარტული ლეპტოპის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ უნდა გაფორმდეს მხოლოდ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან, გარდა ამ დოკუმენტაციის 1.2 პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

4.2 გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია გააფორმოს სტანდარტული ლეპტოპის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციასთან, რომელიც მიმართავს მას აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

4.3 ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 15 დეკემბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სტანდარტული ლეპტოპის სახელმწიფო შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით.

4.4. ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი სტანდარტული ლეპტოპების რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულებაში მითითებული რაოდენობის 20%-ით მეტი ან ნაკლები ოდენობით.

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუფორმოს შემსყიდველს სტანდარტული ლეპტოპის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება პირველივე მოთხოვნისთანავე (მიუხედავად პირველი მოთხოვნით გათვალისწინებული სტანდარტული ლეპტოპის რაოდენობისა).

ბ) უზრუნველყოს მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის სტანდარტული ლეპტოპის მიწოდება ამ დოკუმენტაციის 4.5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი ვადების შესაბამისად.

გ) განახორციელოს სტანდარტული ლეპტოპების მიწოდება შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, მისი პირველი მოთხოვნიდან (მიუხედავად პირველი მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 45 სამუშაო დღისა, ხოლო ყველა შემდგომი მოთხოვნის შემთხვევაში – მოთხოვნიდან (მიუხედავად მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.

დ) გაავრცელოს სტანდარტულ ლეპტოპებზე 3 (სამი) წლიანი საგარანტიო მომსახურება, რომლის მიხედვითაც, მისი დაზიანების შემთხვევაში 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში შეაკეთებს ან შეცვლის მას ახლით.

ე) უზრუნველყოს ამ სატენდერო დოკუმენტაციითა და შემსყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

ვ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

4.6 მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებითა და ამ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

4.7 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ამ დოკუმენტაციის 3.21 პუნქტის შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებლისაგან შესყიდული ლეპტოპის ტრანსპორტირება საკუთარი ხარჯებით, ასევე უზრუნველყოს მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტებში სტანდარტული ლეპტოპის ტრანსპორტირება, თუ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნა გათვალისწინებული.

გ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

დ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

ე) შეასრულოს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დაკისრებული ვალდებულებები.

ვ) წერილობითი ფორმით მიმართოს გამარჯვებულ პრეტენდენტს ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

4.8 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

4.9 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

4.10 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) სტანდარტული ლეპტოპის ხელშეკრულებით განსაზღვრული საორიენტაციო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

4.11 სატენდერო დოკუმენტაციის 4.9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია და იმავდროულად მსჯელობს ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ან შესყიდვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. აღნიშნულის თაობაზე იგი მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით.

4.12 კონსოლიდირებულ ტენდერში მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სტანდარტული ლეპტოპების მიწოდება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

სატენდერო კომისიასთან მიმოწერა კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: comp2015@spa.gov.ge. აღნიშნული ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი კორესპონდენცია წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებს.

დანართი

სტანდარტული ლეპტოპის ტექნიკური მახასიათებლები

1. შემოთავაზებული ლეპტოპი უნდა იყოს მსოფლიო ბრენდის, რომელიც მსოფლიო ბაზარზე არანაკლებ 10 წელი იყიდება.

2. შემოთავაზებულ ლეპტოპს უნდა გააჩნდეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სერთიფიკატი, რომლის დამამტკიცებელი ინგლისურენოვანი ან ქართულ ენაზე ოფიციალურად ნათარგმნი შესაბამისი დოკუმენტი უნდა დაერთოს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებას.

3. შემოთავაზებული ლეპტოპის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს **ცხრილი 1-ის ან ცხრილი 2-ის მოთხოვნებს.**

ცხრილი N1

	მოთხოვნები	ტექნიკური მახასიათებლები	მიმწოდებლის მიერ სავალდებულოდ შესავსები სვეტი
3.1	ლეპტოპის დასახელება (ბრენდი)		
3.2	მწარმოებელი ქვეყანა		
3.2	პროცესორი: (მწარმოებელი, მოდელი)		
ა)	გამოთვლითი ბირთვების	არანაკლებ 10 (4CPU + 6GPU)	
ბ)	GPU მაქსიმალური ტაქტური სიხშირე	533MHz ან მეტი	
გ)	ბირთვების რაოდენობა:	4 (ოთხი) ან მეტი	

დ)	L2 „ქეში“	4MB ან მეტი	
ე)	ტაქტური სიხშირე	არანაკლებ 1.9 GHz (ხოლო Turbo რეჟიმში 3.2GHz ან მეტი)	
3.4	ოპერატიული მეხსიერება	4 GB, DDR3 1600MHz ან მეტი	
3.5	მყარი დისკი	SATA, არანაკლებ 320Gb, 5400RPM ან მეტი	
3.6	ოპტიკური დისკების წამკითხავი მოწყობილობა	DVD-ის ჩაწერა/წაკითხვა	
3.7	ქსელი	10/100/1000 Ethernet Controller	
3.8	რადიო ქსელი	802.11 b/g/n, Bluetooth 2.1 ან მეტი	
3.9	ეკრანი	15.6”, LED უკანა განათებით, 1366x768 გარჩევადობა ან მეტი	
3.10	გრაფიკული ადაპტერი	ინტეგრირებული	
3.11	ხმის ადაპტერი	ხმამაღლამოლაპარაკე, Stereo headphone/line out, Stereo microphone/line in	
3.12	ინტერფეისები	1x VGA, 1x HDMI არანაკლებ 1.4a, 3x USB 2.0 ან მეტი/უკეთესი, 1x RJ-45, 1x კვების ბუდე	
3.13	Card Reader	არაა სავალდებულო	
3.14	ვებ კამერა	HD 720p ან მეტი	
3.15	კლავიატურა	მინიმუმ 104 კლავიშიანი	
3.16	ოპერაციული სისტემა	Free OS	

ცხრილი N2

	მოთხოვნები	ტექნიკური მახასიათებლები	მიმწოდებლის მიერ სავალდებულოდ შესავსები სვეტი
3.1	ლეპტოპის დასახელება		

	(ბრენდი)		
3.2	მწარმოებელი ქვეყანა		
3.2	პროცესორი: (მწარმოებელი, მოდელი)		
ა)	ბირთვების რაოდენობა:	2 (ორი) ან მეტი	
ბ)	არქიტექტურა	4 თაობა „Haswell“	
გ)	ნაკადების რაოდენობა	4 (ოთხი) ან მეტი	
დ)	L3 „ქეში“	3MB ან მეტი	
ე)	ტაქტური სიხშირე	არანაკლებ 2.5 GHz (Turbo Boost ტექნოლოგიის მხარდაჭერით 3.1 GHz ან მეტი)	
3.4	ოპერატიული მეხსიერება	4 GB, DDR3 1600MHz ან მეტი	
3.5	მყარი დისკი	SATA, არანაკლებ 320Gb, 5400RPM ან მეტი	
3.6	ოპტიკური დისკების წამკითხავი მოწყობილობა	DVD-ის ჩაწერა/წაკითხვა	
3.7	ქსელი	10/100/1000 Ethernet Controller	
3.8	რადიო ქსელი	802.11 b/g/n, Bluetooth 2.1 ან მეტი	
3.9	ეკრანი	15.6”, LED უკანა განათებით, 1366x768 გარჩევადობა ან მეტი	
3.10	გრაფიკული ადაპტერი	ინტეგრირებული	
3.11	ხმის ადაპტერი	ხმამაღლამოლაპარაკე, Stereo headphone/line out, Stereo microphone/line in	
3.12	ინტერფეისები	1x VGA, 1x HDMI არანაკლებ 1.4a, 3x USB 2.0 (ან მეტი/უკეთესი), 1x RJ-45, 1x კვების ბუდე	
3.13	Card Reader	არაა სავალდებულო	
3.14	ვებ კამერა	HD 720p ან მეტი	
3.15	კლავიატურა	მინიმუმ 104 კლავიშიანი	
3.16	ოპერაციული სისტემა	Free OS	